№ 232

შაბათი, 8 ნოემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 232

შაბათი, 8 ნოემბერი, 1897

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**მარიამ ივანეს ასული კერესელიძისა და ევგენი იოსების ძე კერესელიძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**მათე იოსების ძის კერესელიძისა**

გარდახდილ იქნება ქვაშვეთის ეკკლესიაში კვირას, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზედ.

(2—უ.—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს,

ქართულ დრამატიულ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქ. და 7 სურ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, გარგარელისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

სათავად-აზნაურო თეატრი

შაბათს, 8 ნოემბერს,

**ალ. კავსაძის და ივ. მჭედლიშვილის** ქართული საერო

## ხორო

გამართავს

## კონცერტს

ოთხ განყოფილებად.

ხორო შესდგება 21 კაცისაგან.

პროგრამა ახალის სიმღერებით არის შევსებული: სხვათა შორის, ბ-ნი კავსაძე შეასრულებს სოლოს **«სულო ბოროტო!»**

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათ.

ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი.

(5—უ.—5)

## ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 8 ნოემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში, ბ-ნთ კავსაძისა და მჭედლიშვილის ქართული ხორო გამართავს კონცერტს. როგორც პროგრამიდგანა სჩანს, კონცერტი მეტად საინტერესო უნდა იყოს. ამ საღამოს ხორო შეასრულებს მრავალს ისეთს ქართლ-კახურ იმერულ სიმღერებს, რაც ტფილისის საზოგადოებას ჯერ არ მოუსმენია. გარდა ამისა თვით ხორო შევსებულია ახალის მომღერლებით ზოც და-ერთის კაცისაგან შესდგება. იმედია, ხალხი ბლომად დაესწრება კონცერტს, მით უმეტეს, რომ ამ ახლად შემდგარმა ხორომ თავისის განწყობილის და მშვენიერის სიმღერით უკვე დაიმსახურა ჩვენი საზოგადოების ყურადღება. სხვათა შორის ხოროს ლოტბარი ბ-ნი კავსაძე შეასრულებს სოლოს „სულო ბოროტო".

⁂ მთავარმართებლის კანცელარიას მისვლია პროექტი ტფილისის გუბერნატორისა სოფ. ახმეტაში სამკურნალოს დაარსების შესახებ კეთროვანთათვის. პროექტში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ სამკურნალო საჭიროა განცალკევებული იყოს. პირველ ხნობით ოთხი ავადმყოფი უნდა მოთავსდეს. სამკურნალოს დაარსებისა, შენახვისა, ფერშლის ჯამაგირისა და სხვა ხარჯისათვის საჭიროა საერობო თანხიდგან გადადებულ იქმნას 2000 მან.

⁂ ხმოსანი კ. ი. რეიტერი დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის მიერ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ. ბ-ნი რეიტერი თავმჯდომარის თანამდებობას მაშინ ასრულებს, როდესაც ქალაქის მოურავს საბჭოს კრებაზე თავმჯდომარეობა არ შეეძლება.

⁂ პირველ ნოემბერს ბ-ნმა ტაგიევმა უკვე მიიღო დანარჩენი 2 მილიონი მანეთიც იმ უცხოელ ამხანაგობისაგან, რომელმაც ტაგიევისაგან შეისყიდა ნავთის ქარხნები. გაზ. „კასპის" სიტყვით ამავე ამხანაგობას, სახელდობრ „სტიურს", განზრახვა აქვს შეისყიდოს ძმ. ბუდაგოვების ქარხანა $2^{1}/_{2}$ მილ. მან., აგრეთვე მოლაპარაკება აქვთ არაფელოვსა და ამხანაგობასთან. ამ ნაირად ბაქოს ნავთის წარმოება ნელ-ნელა გადადის უცხოელთა ხელში.

⁂ 9 ნოემბერს რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში წლიური აქტი იქნება.

⁂ კავკასიის პირველი საბაღოსნო გამოფენა ინახულა სულ 4,500 კაცმა. მათ შორის ბევრი უფასოდაც იყო.

⁂ ტფილისში ლოთობის წინააღმდეგ ახლად დაარსებულ საზოგადოებას აზრადა აქვს 9 ნოემბერს კონცერტი გამართოს. საზოგადოებამ შეიძინა 400 მან. სხვა-და-სხვა საკ რავები, ავეჯი და სხვა. ცალკე სადგომიც გაიმართა ამიერ კავკასიის რკინის გზის ტფილისის სახელოსნოებთან. გარდა ამისა ამ დღეებში საზოგადოებამ მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა დაგვეხმარეთ და 500 მანეთი მოგვეცითო.

⁂ ქალაქის გამგეობამ გუშინ-წინ, 6 ოქტომბერს, შეატყობინა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ზოგიერთი სახლის პატრონები ნებას არ აძლევენ ქალაქის მებაღეს იმათ სახლების წინ ხეები ჩარგოსო. სახლის პატრონები ამბობენ თურმე, რომ ხეები ოთახებს გვიბნელებენ და სახლს გვიუშნოვებენო. გამგეობა სთხოვს პოლიცმეისტერს ქალაქის მებაღეს დახმარება აღმოუჩინეთო.

⁂ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვიდგან ერთის დიდის სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი ბ-ნი ხმიროვი. ხმიროვს აზრად აქვს გაიცნოს ამიერ-კავკასიაში წველა-დღვების საქმე და შეისწავლოს რამდენად კარგი თვისების რძე, ერბო, და სხვ. იცის ჩვენში. რადგანაც იმ ფირმას, რომლის წარმომადგენელიც არის ბ-ნი ხმიროვი, დიდი ვაჭრობა აქვს სარძეო ნაწარმოებისა, ამიტომ ჰსურს გამოიწეროს იგი ამიერ-კავკასიიდგან, თუ კარგი თვისებისა აღმოჩნდა.

⁂ ამ დღეებში რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას კრება ექმნება, რომელზედ აგრონომი ნ. ნ. სპეშნევი წაიკითხავს თავის მოხსენებას ბლეკროტის და ვაზის სხვა ავადმყოფობათა შესახებ. კრება მეტად საყურადღებო იქმნება.

⁂ გუშინ წინ, 6 ნოემბერს, საღამოთი ცეცხლი წაეკიდა აღუნაკოვის სახლს, ელისაბედის ქუჩაზე. ცეცხლისაგან დიდი ზარალი არ მოსვლია სახლს, ხოლო თვით აღუნაკოვმა მიანგრ მოანგრია. სახლი დაზღვეულია. წელს აღუნაკოვის სახლს სამჯერ-ოთხჯერ წაჰკიდებია ცეცხლი. სახლი ძველია, ბუხრები ისე ცუდად არის გაკეთებული, რომ ცეცხლი ადვილად ეკიდება. პოლიციამ აღუნაკოვს ოქმი შეუდგინა და სასამართლოს გადასცა.

⁂ ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში რამდენიმე ოჯახობა ბოშათა, რომელთაც დიდუბეში დაიბინავეს. ბოშები თავიანთ თავს სერბებს უძახიან. კაცები დახეულ დაგლეჯილ ტანისამოსით დადიან ქუჩებში და მოსვენებას არ აძლევენ ხალხს მოწყალების თხოვნით. ქალები-კი მკითხაობენ და ატყუებენ გულუბრყვილო ქალებს. ამ უსაქმურ ხალხის ასეთ

## ფელეტონი

—

**მართალი ტფილისის შესახებ**

(ი. გოგებაშვილისა)

(დასასრული*)

სომეხთა საქართველოში გაძლიერებას, უფრო-კი ვაჭართა წოდებისას, ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მტრის შემოსევის დროს ეს წოდება ქვეყნის მფარველობა-დაცვაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდა და მოახლოვდებოდა თუ არა მტერი, ვაჭრობა მაშინათვე ქალაქებიდგან მთებში იხიზნებოდა. მხედრობაში და ჯარში გასვლის მაგიერად, რაიცა თითოეულის ქართველის მოვალეობას შეადგენდა, სომხები ფულით ითავისუფლებდნენ თავსა, მტრის ტყვიას თავს არიდებდნენ და მრავლდებოდნენ. ამ გამრავლებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მოქალაქენი არასოდეს ისე არ ისჯებოდნენ, როგორც დაბალის წოდების ხალხი, და სასჯელის ნაცვლად ფულს იხდიდნენ (ვეიდენბაუმი). ქართველობა-კი აუარებელი იჟლიტებოდა, როდესაც ქალაქებსა და სოფლებს მტრისაგან იფარავდა, ქალაქებს, სადაც მშვიდობიანობის დროს მოქალაქენი და მათნი მახლობელნი იმათისავე ქონებით მდიდრდებოდნენ, რომელნიც სისხლის რუს აყენებდნენ ხოლმე მტრის ხელიდგან ქვეყნის ხსნის დროს. ასე, მაგალითად, ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, აღა-მაჰმად-ხანის ტფილისში შემოსვლის დროს, სომეხთა მელიქმა ბებუთოვმა ქალაქს ადრევე თავი დაანება და მას თან მიჰყვნენ მოქალაქენი, ჯერ ისევ იმ დროს, როდესაც მეფის ოჯახობიდგან ერთი ადამიანიც-კი არ გასულიყო ქალაქიდგან. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ტყვეებს შორის, რომელნიც ტფილისიდგანა და საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეებიდგან აღა-მაჰმად-ხანმა წაასხა, უმეტესობას ქართველები შეადგენდნენ, რომელთაც სიღარიბის გამო თავისუფლება ვერ დაიბრუნეს და სამშობლოს სამუდამოდ გამოეთხოვნენ; ტყვე სომხები-კი ნათესავებმა გამოისყიდეს, უკანვე მობრუნდნენ საქართველოში და იმ ქართველების მამულსა და სახლებს დაეპატრონენ, რომელნიც უკვალოდ დაიკარგნენ. აი, სად იმალება ის საიდუმლო მიზეზი, რომელმაც სომხებს ხელი შეუწყო და აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ მათის სახლების რიცხვი ასე გაამრავლა და ქართველებისა-კი შეამცირა.

ამ საზარელმა დევნამ, რომელიც მაჰმადიანთა გამო საქართველოში მართლ-მადიდებლობამ გამოიარა, ბევრი ქართველი აიძულა სომეხთა სარწმუნოება მიეღო, რომელსაც მაჰმადიანთა მბრძანებელნი ესოდენ შეღავათითა და თმენით ეპყრობოდნენ. სხვათა შორის, ზაგურსკის გამოკვლევით, რომელიც კავკასიას კარგად იცნობდა, ახალციხის მხარეში მრავალმა ქართველმა სომხობა და კათოლიკობა თურმე მიიღო და თავისს მამა-პაპის სარწმუნოებას გადუდგა იმ აზრით, რომ სიცოცხლე შეერჩინა და ქრისტეანობა მაჰმადიანობაზედ არ შეეცვალა. ასევე მოხდა ბორჩალოსა, საინგილოსა და საქართველოს დანარჩენს სამხრეთ-სასაზღვრო ნაწილებში, რომელნიც სპარსეთსა და ოსმალეთს ზედ ეკვრა. ამ გარემოებას ვერც ტფილისმა დააღწია თავი. ტფილისშიაც, სოლოლაკის სომეხთა შორის, არა ერთი და ორი გვარი შეიძლება დავასახელოთ, რომელთა წინაპარიც ქართველი მართლ მადიდებელი ყოფილა.

რა ძლიერაც ჰმოქმედებდა ზემოდ აღნიშნული მიზეზები ქართველთა რიცხვის შემცირებასა და სომეხთა გამრავლებაზედ, — ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ ქართველთა ეკლესიების რიცხვი თანდათან მცირდება. ანდრია პირველ წოდებულის სახელზედ აშენებული ეკკლესია თოფის ტყვია წამლის მაღაზიად გარდაიქმნა, შუაგულ ტფილისში ბეთლემის ეკკლესია მეფე ერეკლეს დროს სომხებს გარდაეცათ და ფეთხაინის სახელი დაენათლა; სომხებივე ჰყიდულობენ თელეთის ეკკლესიას თავ. ციციშვილისაგან, ამათსავე ხელში გადადის წმ. ნიკოლოზ სასწაულთ-მოქმედის სახელზედ არსებული ეკკლესია, რომელსაც სომხები „სურბ-ნიშანს" არქმევენ. ვახუშტი სწერს, რომ ჯერ ისევ იმისს დროს მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედში სომხებს მართლ-მადიდებელთა 17 ეკკლესია სჭერიათ. მართლ-მადიდებელთა ეკკლესიები ქართველებისაგან სომხების ხელში მერეც-კი გადადიოდა. ამის გამო რიცხვი სომეხთა ეკკლესიების თანდა თან მრავლდება, თითქმის 3-გზის სჭარბობს იმას, რაც დელაპორტსა ჰქონდა ნაჩვენები და წარსულის საუკუნის დამლევს უკვე 24-მდე ეკკლესია აქვთ, როგორც 1803 წელს მომხდარ ტფილისის ოფიციალურ აღწერიდგანა სჩანს.

ქართველთა ჟლეტვა განადგურებამ, რომელიც მაჰმადიანთ საგნად გაიხადეს, რომ კავკასიაში რუსეთის მძლავრი უფლობა არ დამკვიდრებულიყო, სწორედ სულ წინაამდეგს

*) იხ. „ივერია" № 231.

ნაირად წანწალი სასიამოვნო არ არის, მით უფრო რომ, თუ ამ ბოშებმა სადმე რამ მოახელეს, იმ წამსვე ასწაპნიან.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ტფილისის მაზრის სოფელ ხაშმის მცხოვრებელს გლეხს გიოგი ნახუცაროვს უთხოვნია მთავრობისათვის — ნება მიბოძეთ ჩემის პასუხის გებით სოფ. ხაშმში სამკითხველო-წიგნთსაცავი დავაარსოვო.

*** სოფ. სურები, (ოზურგეთის მაზრა). სოფ. სურებში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. 19 ოქტომბერს გლეხი გლახუნ ტრაპაიძე წავიდა ყანაში და იქ უნდოდა ცეცხლის დანთება, წავიდა შეშის მოსატანად. მივიდა ერთ ფერდობ ალაგას, სადაც ხეები იყო მოჭრილი, ერთისხის ტოტს დაუწყო ჭრა. მიაჭრა თუ არა ეს ტოტი, უეცრად დაიძრა ერთი მეორეზედ დადებული ხეები და მოჰყვა ქვეშ ტრაპაიძე. ბევრი იყვირა თურმე საწყალმა: „მიშველეთ, მიშველეთო“, მაგრამ შველა და მოხმარება-კი არსაიდამ იყო, თუმცა-კი, როგორც სთქვა მომაკვდავმა: „ვხედავდი ორ კაცს, შორი-ახლოს მომუშავეს, რომელთაც ესმოდათ ჩემი ღრიალი, მაგრამ ყური არ მიგდესო“. ამ ნაირად ხეებს ქვეშ იყო საწყალი საღამომდის. საღამოს წავიდნენ შვილები მამის საძებრად, მიუახლოვდნენ თუ არა იმ ადგილას, მოესმათ: „ვაიმე, მიშველეთ. ვინ ხართ მადლიანიო!“ გაექანენ და ნახეს უზარ-მაზარ ხის ქვეშ თავიანთ მამა, რომელიც დიდის გაჭირვების შემდეგ გამოიყვანეს, ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს სახლში და საბრალომ მესამე დღეს განუტევა სული.

*** დ. ჩოხატაური. 29 ოქტომბრიდგან დაიწყო თოვლა და 3 ნოემბრისთვის ერთი ალაბის სიმაღლე თოვლი დასდო. ხალხი მეტად შეაწუხა თოვლის მოსვლამ, რადგან მთაში ჯერ ყანები არ მოუტეხნიათ და მოუკრეფავ ვენახებში ყურძენი ხომ ერთიანად ძირს დააგო. ბევრს მთაში საბალახოდ გაგზავნილი საქონელი არ ჩამოურეკია. საშინელ გმინვა-ტირილისა და მწუხარების ხმა გაისმის სოფლებში. ზოგი ყანასა სტირის, ზოგი ყურძენს და, ვინ იცის, კიდევ ზოგი რას. არ იქნა არ მოეღო ბოლო აქაურ ვაჭრების თავგასულობას. ამათთვის არც ნიხრი და არც რაიმე წესი არ არსებობს. პური, რომელსაც პირველ ხარისხის სახელით ჰყიდიან, გირვანქაში შაურს იღებენ და მეორე და მესამე ხარისხისა ხომ ნამდვილი მჭადია. გირვანქა შაქარში 20 კაპ. იღებენ და ნავთშიაც გირვანქაში შაურს. ყასბების ბინძურობასაც ვერ მოეღო ბოლო. საქონელს თავიანთ დუქნების გვერდითა ჰხოცვენ და იქვე ატყავებენ ხოლმე ტალახში. დროა ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

*** ბათუმი. სახპეტოვის საწყობიდგან ფქვილის საქმეში პოლიციის მოქმედების ამბავი ბათუმის ქალაქის გამგეობას გუბერნატორისათვის უცნობებია, რომელსაც ამ საქმის გამორკვევა და გამოძიება მიუნდვია თავისის თანაშემწის, პოლკოვნიკის სამოილოვისათვის. ამას გარდა, როგორც ვუწყით, ბათუმის მომრიგებელ მოსამართლემ დაადგინა, ამ საქმეში ზოგიერთ მოხელეთა მიერ ჩადენილი უკანონო მოქმედება ბრალმდებელს ეუწყოსო. ვნახოთ, რას გამოარკვევს გამოძიება.

*** ქ. ფოთი. კარგა ხანია, რაც ერთმა მედუქნემ მოიტანა თავისს დუქანში რაღაც სათამაშოები და აუარებელი ხალხი მიიზიდა ამ საშუალებით. პატარა ფულს იშოვნიან თუ არა თამაშობის მოყვარულნი, მაშინვე ამ დუქანში მიეშურებიან და აქ აღამებენ და ათენებენ დღეღამეებს. ამათ რაც უნდათ, ისა ქნან, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ სოფლის ხალხსაც, რომელიც სიმინდსა ჰყიდის აქ და პატარა ფულსა ჰშოულობს, იტყუებენ ამ დუქანში და ისტუმრებენ სახლისკენ ცალიერტარიელს. მუდამ ღრიანცელისა და ლანძღვა-გინების ხმა ისმის ამ დუქნიდგან და ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ყურადღება მიაქციოს ამ უწესოებას, ვისიც ჯერ არს.

*** ქუთაისი. ქუთაისიდგან ხონამდის მიმავალ გზატკეცილს გვერდზედ მიუთამაშებს მდ. ოღასკურა, რომელიც გაზაფხულობით და მუდამ ჟამს წვიმის დროს ისეთ ნაირად ადიდდება ხოლმე, რომ მთელი არე მარე ხელთ უჭირავს. გადმოდის ნაპირებიდგან და ექვსი ვერსის მანძილზედ მიმდინარეობს გზატკეცილზედ, შეუძლებელია ამ დროს აქ მოგზაურობა, მაგრამ რა ვქნათ, თუ-კი მეტი გზა არა გვაქვს. ბევრჯელ გაუკეთებიათ ჯებირები მდინარის შესამაგრებლად, მაგრამ ოღასკურას უფრო მეტი სიძლიერე გამოუჩენია და გადაუბოტებია ჯებირებზედ. რამდენმამე მემამულემ ითხოვა მთავრობისაგან, რომ ჩვენ მოგვეცით იჯარით ეს გზა გასაკეთებლად, ბეთ ათას მანათს წარმოვადგენთ და თუ ეს გზა არ შევიმაგროთ მდ. ოღასკურასაგან, მაშინ ბეს ნულარ დაგვიბრუნებთო, მაგრამ ვინ უგდო ყური. ვართ ისევ წვალება-ვაივაგლახში და არ ვიცით, როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვას. ბევრი უბედურობა დაუტრიალებია ამ მდინარეს და ვინ იქნება იმის თავდები, რომ კიდევ არ დაატრიალებს. სხვათა შორის, 28 ოქტომბერსაც იმდენი წყალი მიდიოდა ამ გზა-ტკეცილზედ, რომ შეუძლებელი იყო მოგზაურობა. ნუთუ ბოლო არ მოეღება ხალხის ტანჯვას.

## თეატრის მატიანე

„ბედი მუხთალია“, სცენები 5 მოქმედ. ეკ. გაბაშვილისა.

„სამოცი წლის აშიყი“, ვოდევილი 1 მოქმედ. ელ. ჩერქეზიშვილისა.

ხუთშაბათს დანიშნულს საბენეფისო წარმოდგენაზედ წასვლის წინად, ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „რომანი დიდ ხევაში“ წავიკითხე, რადგანაც ამ მოთხრობიდგან ამოიღო ავტორმა თავისი ახალი პიესა „ბედი მუხთალია“. მართალი მოგახსენოთ, საზოგადოდ რომანისა ანუ მოთხრობის დრამად გადაკეთება იშვიათად ხერხდება, იშვიათად გამოდის კარგი დრამა ძალიან კარგის მოთხრობიდან და, მართლაც, თუ მივიღებთ მხედველობაში სხვა-და სხვა ტეხნიკურს მხარეს მოთხრობისა და დრამისას, მაშინ ეს აღარ გაგვიკვირდება. „რომანი დიდ ხევაში“-კი სწორედ ისეთს ნაწარმოებს ეკუთვნის, რომელიც ჩინებულია მოთხრობად და სუსტი გამოვა, თუ დრამად გადააკეთე. „რომანი დიდ-ხევაში“-ს დრამა იმაში მდგომარეობს, რომ ორ შეყვარებულ არსებათ ერთმანეთთან კანონიერად შეკავშირებას უშლის მღვდელი, რომელსაც ექსარხოსისაგან განკარგულება მოსვლია, თვალ-ყური ადევნე, ნათესავებმა არ შეირთონ ერთმანერთიო. ახალის განკარგულებით დაშინებული მღვდელი პავლესა და მაროსაც (შეყვარებულთა სახელი) არ აძლევს ნებას ჯვარის დაწერისას, მაშინ როდესაც არავითარი ნათესაობა მათ შორის არ არსებობს, არამედ ძალიან შორეული მძახლები არიან. პავლია ბევრსა სცდილობს, ტფილისში ჩადის, ეხვეწება და ემუდარება ყველას, მაგრამ ვერას გახდება. მე ვამბობ, რომ თუ მოთხრობისათვის ეს შინაარსი საკმაოდ დრამატიულია, სამაგიეროდ დრამისათვის აღარ ვარგა, იმისათვის, რომ დრამაში, როცა სიკვდილ სიცოცხლეზეა საქმე, როცა კაცთა უაღრეს და უდიდეს გრძნობათა ბრძოლაა ატეხილი და ამ ბრძოლის მსხვერპლნი ხდებიან უმთავრესი გმირები, ასეთი პატარა მიზეზი დრამის მაყურებელსა და თუნდა მკითხველს ვერ აკმაყოფილებს, რადგან მიზეზი ძლიერ პატარაა და არ შეესაბამება დრამატიულის მოქმედების სიძლიერეს. აბა რა წარმოსადგენია, რომ ეხლანდელს დროში ტფილისში ნამყოფმა ბიჭმა, რომელსაც ორი გროში მაინც მოეძევება (პავლეს-კი სამასი მანეთი ჰქონდა ჯიბეში), ვერ მოახერხოს სინოდის კანტორაში შესვლა და სასულიერო მთავრობასთან თხოვნის გაგზავნა, როცა ტფილისში ათასობით მოიპოვება „არზების“ ორ-ორ მანეთად დამწერი.

ქ-ნ ეკ. გაბაშვილისა მეტად კარგად მოიქცა, რომ თავისი სცენების შინაარსი შესცვალა, მაგრამ სამწუხაროა, რომ იგი შეცვლა თანდათანობით ვერ გაატარა ბოლომდის.

ოსტატ ტასიას (ქ-ნი ჩერქეზიშვილისა) შვილი პავლია (ბ-ნი მჭედლიშვილი) ტფილისიდგან ახალი ჩამოსულია. იქ თავისს ახალგაზდა ბატონთან იყო და რადგანაც იგი რუსეთს უნივერსიტეტში წავიდა, პავლია დედასთან დაბრუნდა. აქ ჰნახავს სოსიკას (ბ-ნი გამყრელიძე) ასულს მაროს (ქ-ნი კარგარელისა) და შეიყვარებს. მამაც დასთანხმდება ამ ქორწილს, მღვდელიც პირობას მისცემს, მაგრამ მოურავი ივანიკა (ბ-ნი ადამიძე) „მუხთალს ბედს“ მთელის სოფლის სულის ამომხდელად გაუჩენია. ეს მოურავი ტყავს აძრობს მთელს სოფელს, სულსა ჰხდის, რომ კნეინა-ბატონს ას-ას მანეთიანები ჩაუგზავნოს ტფილისში და არც თავისი გაუმაძღარი და ხარბი ჯიბე დაივიწყოს. პირველ მოქმედებაშივე ვხედავთ, რა გამწარებულნი არიან გლეხები, რა თავგანწირულებამდის მისულან იგინი, გარდაწყვეტილი აქვთ მოვკლავთ და მერე თუნდა ციმბირში გაგვგზავნონ, არას დავდევთო. ასეთი გამწარება სოფლისა პავლეს გულს აუდუღებს და პირველ ნახვისთანავე შეებრძოლება მოურავს. მოურავიც, რასაკვირველია, ახალგაზდა ბიჭის თავხედობას არ დაივიწყებს და საშინელად იძიებს შურს. მღვდელს მოიქრთამებს და მღვდელიც განაცხადებს, ნათესავია, ჯვარს არ დავსწეროთ. პავლია ამ დროს სამუშავოდ სხვაგან არის წასული, სანამ ის მივიდოდეს, სოსიკა დააჩქარებს ქალის გათხოვებას, მით უმეტეს, რომ მისი ორსულობა გაიგო, პავლიას ჩამოსვლის დღეს ქორწილია დანიშნული. ეს პავლეზედ ისე იმოქმედებს, რომ ჭკუაზედ შეცდომასთან ახლოს არის. გავარდება მოურავის მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს მაროს დაინახავს წყალზედ მიმავალს და იმას ჩასცემს სატევარს. ავტორმა ამ შემთხვევის მიზეზად მოთხრობაში ექსარხოსის „ახალი ბრძანება“ დასახა, დრამაში-კი მოურავის შურის-ძიება და გაიძვერობა და ამით სინამდვილესაც უფრო დაუახლოვა ამბავი და დრამატიზმითაც ბევრი მოიგო არაკმა.

საუკეთესო ადგილს დრამისას წარმოადგენს უტყუარი და ნამდვილი სურათი ვითომ და განთავისუფლებულ გლეხთა ცხოვრებისა. აღვირწახსნილი სურვილი „ცრუ ცივილიზაციის“ ცუდის მხარეების შემთვისებელის „ბატონისა“ თხოულობს „ნაყმევთა“ ტყავის გაძრობას და იმ ზომამდის მიჰყავს ეს „ნაყმევნი“, რომ თავს ჩალად აღარ აფასებენ, გადაწყვეტილი აქვთ სიკვდილი მტა-

---

აზრს მიაღწია: დააჩქარა, რომ საქართველო და მასთან ერთად მთელი კავკასია რუსეთს შეერთებოდა, რომელმაც მერე დაღესტანიც დაიმორჩილა და დღეს ოსმალეთი და სპარსეთიც მისს პოლიტიკურ გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

### VIII

მაგრამ, რაც უნდა იყოს, დღეს მაინც ტფილისში სომხები ქართველებს სჭარბობენ. ამ გაძლიერებას მიმდინარე საუკუნეში ხელს უწყობდა აი რა გარემოებანი: ის, რომ ავლაბარში მრავალი ერევნიდგან გადმოსული სომხის ოჯახობა იქმნა დასახლებული ამ საუკუნის დასაწყისში; ის, რომ პასკევიჩმა 1829 წ. 100,000 არზრუმელი სომეხი დაასახლა ახალციხისა და ახალქალაქის მხარეში, აგრეთვე წალკასა და ბორჩალოში (Потто, „Истор. Кавказск. войны“, т. 5-ый, стр. 421), საიდგანაც მერე სომხებმა ტფილისისაკენ დაიწყეს დენა, რადგანაც აქ იმედი ჰქონდათ ადვილად გ მდიდრდებოდნენ; ხში რად ოსმალთა და ქურთთაგან შეწუხებულნი სომხები ოსმალეთიდგანაც გადმოდიოდნენ პატარ-პატარა დასებადა და ტფილისსა და საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში სახლდებოდნენ, რასაკვირველია, რუსეთის ძლევამოსილ უფლების მფარველობის ქვეშ; ის ახალი პირობები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის რუსეთთან შეერთებამ შექმნა და დიდად ხელი შეუწყო, რომ სომხების სავაჭრო მოქმედება განვითარებულიყო, რომლისათვისაც მთელის საუკუნოების განმავლობაში მომზადებულნი იყვნენ; დასასრულ ის გარემოება, რომ ქალაქის საბჭო და თვითმმართველობა სომხების ხელში იყო, რომელნიც, ეჭვი არ არის, სცდილობდნენ, რომ ტფილისში სომხები გაძლიერებულიყვნენ. ტფილისელ სომხების ასეთი მზრუნველობა ორის საკმაოდ უცნაურის ამბით ნათლად დასურათდა: პირველად რუსული ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ რუსულთან ერთად სომხურადაც იბეჭდებოდა, რომელიც არამც თუ ქართველებსა და რუსებს, მთელის ტფილისის გუბერნიის სომეხთა უმეტესობას არ ესმოდა. ორ მასწავლებლიდგან, რომლებიც ადგილობრივს ენებს ასწავლიდნენ, სომხურის მასწავლებელი, რომლისაც თვით მოსწავლე სომხებსაც არა ესმოდათ-რა, უფროს მასწავლებლად ითვლებოდა და ქართულისა — უმცროსად.

ახალი ხანა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებით დამყარდა კავკასიაში, ქართველებისათვისაც სასარგებლო იყო, რადგანაც ამითი მათ თავისს დიდის ხნის გულის ნადებს მიაღწიეს — გარეშე მტრებისაგან მოისვენეს და მშვიდობიანად დაიწყეს ცხოვრება, რაიცა მთელის ექვსის საუკუნის განმავლობაში, თამარ მეფის აქეთ აღარ ეგემნათ. მაგრამ თითონ ქართველთა შორის-კი დიდი ცვლილება მოხდა ამის შემდეგ, ცვლილება, რომელმაც ქართველთა დედა-ბურჯ და უმთავრეს ცხოვრების სალსარზედ, სოფლის მეურნეობაზედ, მეტად ცუდი გავლენა იქონია. საქმე ის არის, რომ ძველად საქართველოში მებატონეთა და გლეხთა შორის დამოკიდებულება უფრო შეღავათიანი და სუბუქი იყო ამ უკანასკნელთათვის, რადგანაც ქართველთა მაღალი თუ სამხედრო წოდება მეტად უბრალო ზნე-ჩვეულებისანი იყვნენ და მოთხოვნილებაც ამისათვის სულ მცირე ჰქონდათ, რომელიც გლეხს თავადისაგან არ არჩევდა. მეორეს მხრივ, გლეხობა მუდამ შეიარაღებული იყო და მისი დაჩაგვრა და ძარცვა ისე არავის შეეძლო, რომ ღირსეული სამაგიერო არა ჰრგებოდა. ამის გამო მიწის მომქმედთა და მიწის პატრონთა შორის აქამდის მამაპაპური, ძველის-ძველი დამოკიდებულება იყო დამყარებული, რომ გლეხის ცხოვრება და სიმდიდრე ბატონს საამაყოდა ჰქონდა. ახალის დროის დამყარების შემდეგ-კი ქართველს თავად-აზნაურობას ის ძველი მეომარ წოდების თვისებანი მთლად დაეკარგა, დაიწყო თავაშვებულად მდიდრული ცხოვრება, ზარმაცობასა და ფუფუნებას მისცა თავი და გლეხობას შედარებით წარსულთან ახლა უფრო მეტის თხოვნა დაუწყო. გლეხობამაც ამ დროს უკვე დაჰკარგა ის ძველი მეომრობა და მებატონეების წინააღმდეგობა აღარ შეეძლო. და თუ ოდესმე ასეთი წინააღმდეგობა იჩენდა ხოლმე თავს, მაშინვე ძლიერის მხედრობით იმორჩილებდნენ, როგორც ციციშვილის დრო გვიჩვენებს. ამ სამწუხარო მდგომარეობას გლეხთა ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლების დიდებულმა ბრძანებამ ძოუღო ბოლო; მაგრამ, სამწუხაროდ ეს დამოკიდებულება დღემდის ჯერ კიდევ არსებობს, რადგანაც გლეხთა დროებითი ვალდებულება აგერ ოცდა-ათი წელიწადია ვე ძოსპობილა და გლეხობა განთავისუფლებულ-მეფის მიერ მინიჭებულის თავისუფლებით ვერა სარგებლობს.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა დღითი-დღე უარესს დღეში ვარდება იმის გამო, რომ მიწები გამიჯნული არ არის და ერთთავად განუწყვეტელი დავა აქვთ ერთმანეთში მემა-

რვალისა და თავისის თავის დაღუპვაც. მოურავი „ბატონთა“ სასიამოვნო, მათის სურვილების აღმასრულებელი თავისდა სასარგებლოდ, რასაკვირველია, რას დასდევს, რომ ერთს სახლი თავზე დაუნგრია, როცა ძმის ქორწილს აპირებდა, მეორეს უკანასკნელ საქონელს უყიდის, მესამეს საცოლეს ართმევს, რომ ლამაზი ქალი ხელში ჩაიგდოს, მით უფრო, რომ ამ ლამაზის ქალის მოპოვებით თავისს ძლიერებას დაამტკიცებს, გლეხებს შიშის ზარს დასცემს და იმათს შემგნებსა და შემბრალე პავლიას დაამარცხებს. თუ ქ-ნის ეკ. გაბაშვილის მოთხრობა ჰკოჭლობს იმით, რომ დრამატიული მხარე არ არის გადაბმული მთელი სოფლის ამგვარ მდგომარეობასთან, სამაგიეროდ თავისს სცენებში ავტორი ასცდა ამ ნაკლულევანებას, მაგრამ მოთხრობამ მაინც იქონია გავლენა, რაც იმითი სჩანს, რომ დრამატიული ბრძოლა სუსტი გამოდგა, სუსტი იმიტომ, რომ მთელი შინაარსი ამ პიესისა უნდა გამოიხატებოდეს მოურავისა და პავლეს ბრძოლაში. მოურავი არის წარმომადგენელი გარყვნილისა და გათახსირებულის პირუტყვისა, რომელსაც ხელში აქვს ბატონის ნდობა და ამ ნდობით მოპოვებულის უფლებით სულს აძრობს სოფელს. მეორეს მხრივ პავლია, სოფლის ბიჭი, ტფილისში ნამყოფი, ცოტა არ იყოს დარდიმანდი, მოხერხებული და მარჯვე, სოფლის წარმომადგენელია, რომელსაც მოურავი სულსა ჰხდის. ამ ორთა შორის ატეხილი ბრძოლა უნდა იყოს თანდათანობითა და სიმტკიცით გატარებული მთელს დრამაში. სამწუხაროდ ეს ასე არ არის და მხოლოდ გაკვრით არის აღნიშნული ეს ბრძოლა. სწორედ ამიტომაც მოხდა ის, რომ პირველი სამი მოქმედება პიესისა ყველას მოეწონა და უკანასკნელმა-კი თითქო ამ კარგს გავლენას ფრთები შეაკვეცა, საზოგადოება სახტად დარჩა და არ იცოდა, გათავდა თუ არა პიესა. არც შეიძლება ამ პიესას დრამატიულის პიესის თვალით შევხედოთ და ამით სასტიკად მოვექცეთ, რადგან თვით ავტორმა სცენები დაარქვა და წინდაწინვე გაგვაგებინა, რომ დრამის დაწერა სახეში არა მქონდაო. მართლაც, რომ სცენების მეტად ლამაზი და კარგია, ავტორის ჩვეულებრივის ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილი, მაგრამ არ არის შიგ დაცული დრამატიული მოქმედება, დრამატიული ერთიანობა და თანდათანობა. თუ ავტორი კიდევ შეიმუშავებს ამ პიესას, შესაძლებელია საკმაოდ კარგი დრამა გამოვიდეს. ეხლა-კი ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა მაინც მადლობის ღირსია, რომ პირველად ჩვენს სცენაზედ ხალხის ცხოვრებიდგან დაგვანახვა პიესა. მეტად კარგადა აქვს დასურათებული ოსტატი-ტასია და სოსიკა გლეხი, არ არის ცუდი პავლიაც, რომლის როლიც დიდის გრძნობითა და გატაცებით აღასრულა ბ-ნმა მჭედლიშვილმა. სასიამოვნოდ გვეჩვენა, რომ ამ საღამოს ეს ახალი ნიჭიერი არტისტი შევნიშნეთ ჩვენს დრამატიულს დასში. კარგი იყო, რასაკვირველია, თვით მობენეფისე და საუცხოვოდ აღასრულა ბ-ნმა გამყრელიძემ გულუბრყვილო, ცოტა არ იყოს გულ-ცივი და თან ხანდახან სასტიკი და ქინიანი ქართველი გლეხი. კარგარელიც ჩინებული აღმასრულებელი იქნებოდა მაროს როლისა, რომ ბოლოს არ გაეფუჭებინა—მეტად გულცივადა და გულგრილად მიიღო ის ამბავი, რომ სხვაზედ ათხოვებენ და არა პავლეზე. საზოგადოდ პიესა ძალიან მწყობრადა და კარგად აღასრულეს.

საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა და ვაშა-ვაშას ძახილით გამოიწვია რამდენჯერმე ავტორი პიესისა.

რაც შეეხება ვოდევილს, იგი ძლიერ სუსტი იყო, თუმცა მობენეფისემ კარგად გამოიყენა იგი და მისის შემწეობით თავისი ნიჭი სავსებით დაგვანახვა. საზოგადოება მრავალი დაესწრო და ამ მხრივაც ხუთშაბათის წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ჯერ ხანად საუკეთესოდ ამ სეზონში.

კ—ა

## წერილი გურიიდგან

5 ნოემბერი.

წლევანდელმა შემოდგომამ შარშანდელი ხანგრძლივი და სასტიკი ზამთარი სრულიად დაგვავიწყა. მთელის ოქტომბრის განმავლობაში თითქმის გამუდმებით ივდრა, ხოლო უკანასკნელ რიცხვს ამ თვისას თოვლიც მოვიდა. ოთხს დღესა და ღამეს დრო გამოშვებით მოდიოდა თოვლი. ზოგან ერთის ადლის სიმაღლე და ზოგანაც მეტი თოვლი დასდო. ზარალი დიდი და აუწერელია. ყურძენი ბევრგან სანახევროდ მოუკრეფავი იყო. ზოგიერთს ადგილებში სიმინდის ყანებიც იყო შეუნახველი. ეხლა ერთსაც და მეორესაც უნდა გამოეთხოვენ თავიანთი პატრონები. ხოლო რაც შეეხება ხეხილების დამტვრევა-დალეწვას და ტყეების განადგურება-გაფუჭებას, ამათი ანუსხვა და გათვალისწინება ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია. მცენარეთა სამეფო ჯერ კიდევ მწვანით იყო მოსილი და ამ გარემოებამ ერთი ორად ხელი შეუწყო თოვლის გამანადგურებელს ძალას.

ადვილად წარმოსადგენია ჩვენი საერთო გაჭირვება, როცა სრულიად მოუმზადებელი მოგვადგა კარს მკაცრი ზამთარი. ყურძნის დაკრეფვა და ყანის შენახვა რომ არ მოგვისწვრია, რა თქმა უნდა, შეშისა და საქონლის საკვების მომზადებას სრულიად ველარ მოვასწრებდით. სწორედ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილნი და ამ ჩვენს უილაჯობას ისიც აორკეცებს, რომ გამოდარების ნიშანსაც ველარა ვხედავთ.

შარშანდელი ზამთარი, ბატონო, როგორც მოგეხსენებათ, იანვრის შუა რიცხვებში დაიწყო, ხოლო წელს შუაგულ შემოდგომაზედ დაგვიზამთრდა და რა საკვირველია, რომ სასოწარკვეთილნი ვიყვნეთ!

საქონლის გამოკვების იმედი გაზაფხულამდე ბევრმა ეხლავ დაჰკარგა. ისევ სახორცედ ჰყიდიან და ან სახლშივე ჰხოცავენ. ამ ნაირად საგაისოდ ბევრი ოჯახი დარჩება უხაროდ და უძროხოდ. მაშასადამე, ბევრი ადგილი მოსცდება მოუხნავ მოუთესავად; ბევრს ოჯახში ატირდებიან ბალღები ურძეობისა და უყველობის გამო, მარტო მჭადზე მიპირებულნი.

ხილეულობით გურია თუმცა განთქმული არა ყოფილა, მაგრამ მაინც ამ მხრით არა მცირედს შემოსავალს იძლეოდა, ხოლო დღეიდგან ამის იმედიც, თუ სამუდამოდ არა, რამდენისამე წლით ხომ უნდა გადავიწყვიტოთ.

ერთის სიტყვით, აღარ ვიცით, რომელი ერთი ვიტიროთ!

## წერილი შუშიდგან

30 ოქტომბერი.

წრეს გადასული სიძუნწე, სიხარბე და ანგარება ხშირად კაცს ისე აბრმავებს, რომ თვალ-საჩინო ზარალსაც ველარა ჰხედავს. შუშა-ევლახის გზა-ტკეცილი ერთი სახეირო შემოსავლიან გზათაგანია, მაგრამ აბა შეხედეთ, რა საცოდავი სანახავია აქ მომუშავე ცხენები. სკდებით ეტლში და იმათის საცოდავობით გული გეწვით. ფერდი ფერდს მიჰკვრიათ, ცალიერი ძვალ-ტყავიღა შერჩენიათ სამ ოთხ დღეობით შიმშილისაგან. სამ ცხენს შეგიბმენ, ორს უქეველად კოჭლს და დაავადებულს, მიხვალ და მიჩანჩალებ... ნახევარ გზას ფეხით. ერთს სადგურზედ ცხენებს თვალებზედ ხელი ააფარეს და გვთხოვეს, ისე ჩავმსხდარიყავით, ცხენებს არ შევემჩნიეთ; კი არ გეგონოთ იმიტომ რომ ცხენები არ დაფრთხნენ, არა... არა... აღარ წავლენო. ამ ორიოდე თვეში 30-მდე ცხენი გადელრძო მოიჯარადრეს შიმშილისა და ჯაფისაგან, მაგრამ ვერც ამ ზარალმა და ვერც მგზავრთა აურებელმა საჩივარმა, რომლითაც ავსებით სავსეა სადგურებზედ საჩივრის წიგნები, გონს ვერ მოიყვანეს მოიჯარადრე. მთავრობამ ამ ბოლოს ხანს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ ბოროტ მოქმედებას და რჩევითა და სიტყვიერის ძალდატანებით რომ ვერ იმოქმედა, დაუჭირა ხვედრი ფული და თვით ჰყიდულობს ცხენებს და საჭირო საზრდო-საკვებს.

ერთად ერთი გასართობი ადგილი შუშელებისათვის კლუბი იყო, ესეც, ამ ზაფხულს გაზეთების მიერ გაზვიადებულის, მცირე აურზაურისა და ჩხუბის გამო, განჯის გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა. დროებით დაიკეტა თუ სამუდამოდ, ეს არ იციან, ხოლო იმედს არა ჰკარგვენ, რომ ისევ მალე გახსნიან. სამაგიეროდ, თითქმის ყოველი სახლი წარმოადგენს კლუბს. იკრიბებიან ერთმანეთში და გაცხარებული იბრძვიან ხელოვნურ მწვანე ველზედ.

შუშა მრავალ დიდად შეძლებულ სომეხთა სამშობლო ქალაქია. ბევრნი აქედგან ქალამნებით, ძონძებში გახვეულნი, ორი-სამის დღის საგძლით, მერე რა საგძლით, ხმელი ლავაშით, ათიოდე თავ ხახვით და ამდენისავე წიწაკით გარეთ გასულნი დღიურ საზრდოს მოსაპოებლათ, დღეს ასი ათასებისა და მილიონების პატრონები არიან. ბარაქალა იმათს მოხერხებას, შნოს და უნარს. არ გეგონოთ, მარტო მოგება-მოხვეჭაში გამოიჩინოთ ეს შნო-უნარი, არა, მოხმარებაშიაც დიდს ნიჭს იჩენენ. იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართველი შეძლებული იმის ზრუნვაშია, სად და როგორ გაჰფლანგოს მამა-პაპეული სიმდიდრე, შუშელი მდიდარი იმის ზრუნვაშია, სად და რომელს საქველმოქმედო საქმეს მოახმაროს თავისი წვლილი, როდესაც ჩვენი თავადიშვილები იმის კვლევა-ძიებაში არიან, სად დააგირაონ მამული, გამოიტანონ ნაღდი და მერე სად და ვისთან შესჭამონ, შუშელი კითხულობს, რომელს სტუდენტს დაეხმაროს, ვის უფრო უჭირს. ყოვლად შეუძლებელია მათი სიქველის ჩამოთვლა. მე აქ მხოლოდ აღვნიშნავ ორს ფრიად თვალსაჩინო სიქველეს. ქ. შუშის დიდს ნაკლს შეადგენდა უწყლოობა. აქაურმა მკვიდრმა შ. ამიროვმა თავისის ხარჯით 20 ვერსის მაძილიდგან გამოიყვანა მილით წყალი და უძღვნა ქალაქს. ამისათვის დაეხარჯა, როგორც ამბობენ, 100,000 მანეთამდე. აგვისტოს გასულს აკურთხეს ეს წყალი და დიდი მადლობა გადუხადეს მკვიდრთ შ. ამიროვს. მეორე აქაურ მკვიდრთ, დღეს მოსკოვში მოვაჭრეთ ძმათ ჟანგაროვებმა უძღვნეს თავის სამშობლო შუშას საუცხოვო სახლები, ღირებული 30,000 მან. იმ პირობით, რომ ამ სახლებში საავადმყოფო დაარსდეს. მათვე შესწირეს ამ მომავალ საავადმყოფოს 100 ათასი მანეთი, რომლის სარგებლითაც უნდა გამართონ 14 საწოლი შეუძლებელ ავადმყოფთათვის უსასყიდლოდ. აქვე შენდება საუცხოვო შენობა სკოლისათვის, რომელშიაც ჯერ არ იციან როგორი სკოლა მოათავსონ. ეს შენობაც შემოწირულია და ღირს 25,000 მან. მეტი. სრულის თანაგრძნობის ღირსია ესოდენ

---

მულეებს. ამას ახლა თუ იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველთა ეკკლესია და სახალხო სკოლა —ეს ხალხის სულიერ ცხოვრებისა და კულტურულ განვითარების ორი ქვაკუთხედი—ჩვეულებრივს ისტორიულს წრეს გადასცდნენ, მაშინ გაგიკვირდებათ არა ის, რომ ქართველები ამ საუკუნეში დაქვეითდნენ, არამედ ის, თუ დღემდის ან ის-კი როგორ შეინარჩუნეს, რაცა აქვთ. როდესაც ყველა ამ ხელ-შემშლელ გარემოებათ თავიდგან აიცილებენ, სახალხო სასწავლებელი საპედაგოგო კალაპოტში ჩავარდება, ეკკლესია თავისს სარწმუნოებრივ-ზნეობრივს აზრსა და დანიშნულებას რიგიანად წინ წარუძღვება, საჭირო და ადვილად შესაგნები სასოფლო სამეურნეო ცოდნა ქართველთა შორის მოიფინება; როდესაც ადგილობრივ და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზოგიერთი მავნე აზრი და მიმართულება მთლად მოისპობა და თვით ურწმუნო თომანიც-კი დარწმუნდებიან, რომ ეთნოგრაფიულად თავისებური პატარა ქვეყანა—საქართველო—პოლიტიკურადა და სახელმწიფო აზრის მხრივ ნამდვილი რუსეთის მხარეა, რომელიც რუსეთის იმპერატორების, ამ საქართველოს სამეფო გვარის ბაგრატიონთა კანონიერ მემკვიდრეების, თვითმყრობელ ძალის გულით და სულით ერთგულია,—მაშინ ქართველებიც სისტემატიურ კულტურას დაეწაფებიან და ყოველ მხრივ განვითარდებიან. ახლა-კი რომ ის ვინმემ სთქვას, ქართველები კულტურულ-სამრეწველო ბრძოლის მოედანზედ დამარცხებულ იქმნენო, ეს არაფერს ეგვანება, რადგანაც შეუძლებელია ბრძოლა წააგოს იმან, ვისაც დღემდის იგი არ დაუწყია..

IX

მაგრამ ერთის წამით კვლავ ტფილისს დავუბრუნდეთ.

ქართველები უსამართლოდ მოიქცეოდნენ, რომ ტფილისში სომხების უმრავლესობის შედეგს არ ურიგდებოდნენ. ისინი ამ შედეგს უმრავლესობისას კარგად ჰხედავენ და მშვიდობიანად ურიგდებიან. არ ამბობენ: რადგანაც ტფილისი ჩვენი ძველი სატახტო ქალაქია, რომელიც ჩვენვე აგვიშენებია და ქრისტიანობისა და ცივილიზაციისათვის მთელის ათასის წლის განმავლობაში ქართველთა ზღვებრ დანთხეულ სისხლით დაგვიფარავს, ამიტომ ქალაქის მმართველობა უმეტესად ჩვენს ხელში უნდა იყოს და მერე სომხებისაო. ამას არ ამბობენ, თუმცა ისტორიულადაცა და ზნეობრივადაც უფლება აქვთ ამისი. ქართველებს მხოლოდ ისა ჰსურთ, რომ ქალაქის თვითმმართველობაში უზრუნველყოფილი და მტკიცედ დამკვიდრებული წარმომადგენლობა ჰქონდეთ მინიჭებული იმის და მიხედვით, რამდენიც ტფილისში ქართველი მცხოვრებია. ეს-კი ისეთი მოთხოვნილებაა, რომლის სიმართლეც ყოველ მხრივ ეჭვს გარეშეა, მეტადრე თუ არ დავივიწყებთ, რომ ქართველებს ესოდენ დიდი უფლება აქვთ ისტორიულად თუ ზნეობრივად, რომ ქალაქი მათ ეკუთვნოდეთ.

ქალაქის წარმომადგენლობის საქმეში თუ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით იქმნენ ამორჩეულნი ყველა ერობისანი, მაშინ ტფილისის საბჭოში აი ვინ რა ადგილს დაიჭერს: ერთ მესამედზედ ცოტა მეტი ადგილები სომხებს შეჰხვდებათ; დანარჩენი ორი მესამედი ცოტა რამ ნაკლებით ქართველ რუსებსა და სხვა ერთვნობის წარმომადგენელთ დარჩებათ. ეს-კი ისეთი სამართლიანი განაწილებაა, რომ ყველას დააკმაყოფილებს, დაამშვიდებს ქართველებსაც და რუსებსაც, შემდეგ-კი, როდესაც პირველი ზედ მოქმედება გაჰქრება, სომხებიც შეურიგდებიან ამ გარემოებას, რადგანაც იმისი შიში აღარ ექნებათ, რომ ოდესმე ტფილისსაც ბერდიჩევის წესდება მიეცემა; ამ რიგად სომხებს მუდამ ექნებათ მინიჭებული ის უმცირესობა, რომელიც ტფილისის საბჭოში საკმაოდ კარგა ძალას შეადგენს და შუა ადგილს დაიჭერს.

რაც შეეხება იმას, თუ საზოგადოდ სომხებს ქართველებთან რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთო, ამისი შველაც ადვილი არის, თუ-კი კეთილი სურვილი იქნება. მეტი-კი არა უნდა-რა: სომხებმა ხელი აიღონ ქართველების მამულ-დედულის ხელიდგან გამოცლაზედ, რომლებიც ამ ჟამად მათის გაჭირვებულის მდგომარეობით სარგებლობენ, და ისეთივე სამაგიერო მიუზღონ, როგორც ქართველები მოექცნენ მათ უბედურობის დროს, ე. ი. ისევე ძმურად, ჰუმანიურადა და კეთილის სურვილით მოეპყრნენ, როგორც ქართველები ეგებებოდნენ წინანდელს სომხებს, რომლებსაც ბინასაც აძლევდნენ და უფლებასაც, თავისთან სწორსა; ერთის სიტყვით, ქართველები სომხებს არაფრით არ აგრძნობინებდნენ, რომ ისინი სამშობლო ქვეყანაში არ იყვნენ და სხვა ქვეყნად იყვნენ გარდახვეწილნი.

ინ-ანი

საკეთილო მისწრაფება შუშლებისა და სამაგალითო ჩვენის შეძლებულებისათვის.

ვანო ზედგინიძე

## რუსეთი

უმაღლესს სასწავლებლის დაარსების საქმე ქ. ეკატერინოსლავში ამ დღეებში გადასწყდება. სასწავლებლის შენობის აგებას დასჭირდება 1,200,000 მან. სასწავლებელს ორი განყოფილება ექმნება სამთო და სასოფლო სამეურნეო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სასოფლო სამეურნეო საბჭო ამ დღეებში განიხილავს ახალს წესდებას წყლით სარგებლობის გაწეს-რიგების შესახებ.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შუამდგომლობს სახელმწიფო საბჭოს წინაშე, რომ 15,000 მან. მოგვეცით კავკასიასა და დონის ოლქის ვენახებში ვაზის ავადმყოფობასთან საბრძოლველადაო.

— რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებამ ამ დღეებში უნდა წარადგინოს თავისი აზრი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შედგენილ პროექტზედ სასოფლო სამეურნეო გამოფენების წეს-რიგის შეცვლის შესახებ.

— 1898 წლის 1 იანვრიდგან გაუქმებულ იქმნება ყოველ ნაირი დაწესებული საშეღავათო გარდასახადი რუსეთის რკინის გზებით იმ საქონლის წაღება-წამოღებისთვის, რომელიც ეკუთვნის რკინის გზების მოხელეთათვის დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოებათ.

## უცხოეთი

**ინდოეთი.** ინდოეთის საზღვარზედ ატეხილმა ომმა ამ ბოლოს დროს ძალიან დააფიქრა როგორც ინგლისის მთავრობა, აგრეთვე ჟურნალ გაზეთები და საზოგადოება. მათ არ ეგონათ თუ ეს ომი ასე მწვავე იქნებოდა და ამდენს ხანს გასტანდა. პირველად ამ საქმეს სრულებით ყურადღება არ მიაქციეს. ინგლისის აუარებელს ახალშენებში ისე ხშირია ხოლმე შეტაკება, რომ მთავრობა მათ ნაკლებს ყურადღებას აქცევს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ რამდენიმე დღეში ყოველსავე მოარიგებს და ხელ-ახლა მშვიდობიანობას დაამყარებს. სწორედ ასეთისავე თვალით შეხედა ინგლისმა ამ უკანასკნელს საქმესაც, მით უმეტეს, რომ წინადაც არა ერთხელ და ორჯელ ატეხილა ბრძოლა ინდოეთის საზღვარზედ და ინგლისს არასოდეს არ დასჭირებია ბევრი შრომა და წვალება იმათ დაწყნარება-დამშვიდებისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელის ბრძოლის საქმე სულ სხვანაირად მიდის. თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა, რაც ეს ბრძოლა დაიწყო და ინგლისმა არამც თუ არ დაამარცხა მოწინაალმდეგე და მშვიდობიანობა არ დაამყარა, პირიქით თითონ რამდენჯერმე დამარცხებულა და მტერისათვის სამარცხვინოთ ზურგი უჩვენებია. მით უფრო საკვირველია, რომ ინგლისმა თვისი ჯარი ერთი-ორად გაამრავლა და აუარებელი ახალის ყალიბის ზარბაზნები გადაზიდა იქ, სადაც ბრძოლაა ატეხილი. ყველა ამის გამო ეხლა ინგლისის პოლიტიკოსები სხვა ნაირად უყურებენ ინდოეთის საზღვარზედ ატეხილს ბრძოლას და სულ სხვა სარჩულს უდებენ. წინად თუ ამ ომის ატეხას მოსაზღვრე გაუნათლებელ ტომთა მოუსვენრობას აწერდნენ, ეხლა იმას სხვა გარეშე მტერთა ხრიკებს სდებენ ბრალად. იმათის აზრით, ამ აფრიდიებს, ორაქსეებს და სხვათა ტომთა სულ სხვანი მოჰფარებიან და აქეზებენ. ამას სხვათა შორის ამ დღეებში მაიდანიდგან მოსული დეპეშაც ამტკიცებს. დეპეშაში ნათქვამია, რომ, როდესაც მოლა გადის სადგომი დაანგრიეს, აუარებელი საყურადღებო ქაღალდი იპოვნეს იქ, რომელნიც აშკარად ჰყოფენ მოსაზღვრე მაჰმადიანთ ტომთა და ოსმალეთ შორის ურთიერთს დამოკიდებულებასაო. ოსმალეთს გარდა, შეიძლება ინდოეთის საქმეში სხვა რომელიმე სახელმწიფოც ერიოს, მაგრამ ინდოეთში მომხდარ მოძრაობას მარტო ამ გარეშე სახელმწიფოთა ხრიკებს ვერ დავაბრალებთ. აქ მრავალში თვით ინგლისის პოლიტიკაც არის დამნაშავე; მართლაც-და, ინგლისელები ისე უყურებენ ინდოელებს, როგორც თავიანთ მონებს, რომელთაც უნდა ასაზრდოონ და ჰკვებონ „განათლებული“ ინგლისელები. ისინი სულ მცირე ყურადღებას აქცევენ იმათ ყოფა-მდგომარეობას, იმათს სიღარიბესა და გაჭირვებას. ყველა ამის გამო ინდოეთში ეხლა დიდი უკმაყოფილებაა ინგლისის წინაალმდეგ. ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ეს უკმაყოფილო ინდოელები უფრო ამხნევებენ და მხარს უჭერენ მოსაზღვრე ტომებს, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფონი.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინჟენერმა გოფმანმა გამოიგონა ტელეფონისათვის ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება კაცს დალაპარაკების მაგიერად მისწეროთ, რაც გნებავთ. ამ მანქანით ყველას შეუძლიან ისარგებლოს. საკმარისია მხოლოდ ეს მანქანა შეუერთოთ ტელეფონისა ანუ ტელეგრაფის მანქანას და თავისთავად დასწერს, რასაც მოისურვებთ.

ეს მანქანა განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია კარგი, როდესაც გნებავთ გადასცეთ რამ ტელეფონით კაცს და ის-კი შინ არ არის. მაშინ ამ მანქანის შემწეობით შეიძლება ბარათი მისწეროთ, რომელიც დაჰხვდება, შინ რომ დაბრუნდება.

* * *

არგენტინის რესპუბლიკაში შეამჩნიეს, რომ მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ არა მრავლდება და ამიტომ შემდეგს ღონისძიებას მიჰმართეს. რესპუბლიკამ 1897 წელს 1 თებერვალს გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ჯარიმა უნდა გადიხადოს ყველამ, თუ ვინიცობაა ქალმა კაცისა ან კაცმა ქალის შერთვა მოინდომა და ერთმა მათგანმა უარი სთქვა ცოლ-ქმრობაზე. აი თვით ეს კანონიც: „უცოლ-შვილო კაცი და უქმრო ქალი, ვინც-კი უარს იტყვის ცოლ-ქმრობაზე, მოვალეა გადუხადოს იმას, ვინცა სთხოვა ცოლად გამომყევიო, ან შემირთეო, 25 მანათი ჯარიმა. ამ ჯარიმის გადახდა სავალდებულოა ყველასთვის 20 წლიდგან დაწყებული 80 წლამდე. გარდა ამისა ყველა უცოლო კაცი მოვალეა კანონით დადებული გარდასახადი იხადოს ყოველთვე, ვიდრე ცოლს არ შეირთავს.

აი, ამ ქვეყანაში უნდა წავიდნენ ჩვენი ქალები, რომლებიც ამაოდ ელოდდებიან გათხოვებას. იმედია, რომ იქ წასვლით ერთიორად მოიგებენ, თუ იქ არ გათხოვდნენ, დიდ-ძალს ფულს შეიძენენ. მერე შეიძლება, აქ მოვიდნენ და ფული რომ ექმნებათ, რაღა თქმა უნდა, გათხოვდებიან.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 ნოემბერი

**კონსტანტინეპოლი.** დღეს მოხდება მეოცე კრება ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის ზავის ჩამოგდების შესახებ; კრებაზე ხელს მოაწერენ პირობის მეშვიდე მუხლს, რომელიც შეეხება მცხოვრებთა თავისუფლად წასვლას იმ ადგილებიდგან, რომელსაც ოსმალეთს უბრუნებენ.

**ლონდონი.** გაზეთ „Times“-ს დეპეშით სწერენ გაიდონიდგან: „ადვილად დასაჯერებია, რომ უკანასკნელ ბრძოლაში, რომლის დროსაც ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მონაწილეობას იღებდნენ ყველა ადგილობრივნი ტომნი. ამ გარემოებამ ძლიერ კარგად იმოქმედა იმ ტომის ხალხზე, რომელსაც აქამდე ეშინოდა ინგლისელებისა და წინაალმდეგობას ვერ უბედავდა. ინგლისელებისთვის ეს გარემოება ძლიერ ცუდია.

7 ნოემბერი

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის წარმომადგენელთ იმედი აქვთ, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება მომავალ კვირის დამლევამდე გათავდება.

იმის გამო, რომ მუსტაფა-ფაშას და კონსტანტინეპოლს შუა ინგლისისა და საფრანგეთის ფოსტა გახსნეს, ელჩებს საერთო მოლაპარაკება ექმნებათ.

ოთხშაბათს ნაშუადღევს კალიცეს მოუვიდა ოსმალეთისაგან მოწერილობა, რომ თქვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნაო. ამით გათავდა ეს საქმე.

**პარიჟი.** გენერალმა პერიემ გუშინ ჩვენება ჩამოართვა დრეიფუსს, დღეს—ესტერგაზის. საფიქრებელია, რომ გამოძიება მეტად სწრაფი იქმნება.

## განცხადებანი


### იმლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

ზემო სართულში **ხ უ თ ი ო თ ა ხ ი** თავისის მოწყობილობებით.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან.** „ივერიის“ ამა წლის მე 229, 230 და 231 №№ში დაბეჭდილ ბანკის განცხადებაში, სავალო გარდასახადის დროზედ შეუტანლობის გამო დაგირავებულ მამულების გაყიდვის შესახებ, შეცდომა იქმნა შეპარული ქვემოდ დასახელებულ მამულების განცხადებაში, ამიტომ გასწორებულს ხელ-ახლად ვბეჭდავთ:

ადნცაური ივანე მიდიას ძე, მარსაღიშვილი, კამარაული, კალიშვილი, გუდუშაური და სხვ. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 547 დესეტ. 2384 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ტფილისის მაზრაში, აგარაკებში: საელიოზოშვილო და სათარხნოში. თავნი ვალი 1938 მ. 36 კ. შემოსატ. გარდ. 91 მ. 55 კ. სულ 2029 მ. 91 კ.

ჯანიაშვილი ზაქარია გიორგის ძე, ღოღიშვილი ალექსი ანდრიას ძე და სხვ. სახნავი, სათიბი და საბოსტნე ადგილები, მიწა ზომით 128 დესეტ. 130 ოთხ კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ტფილ. გუბ., გორის მაზრაში, სოფ. შაშვებსა და ჩალაში. თავნი ვალი 2499 მ. 46 კ. შემოსატ. გარდ. 139 მ. 85 კ. სულ 2639 მ. 31 კ.

თარხან-მოურავი ნიკოლოზ გიორგის ძე, სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარო, საბაღო ადგილები და ტყე, მიწა ზომით 233 დეს. 956 ოთხ კუთ. საჟენი, ტფილისის გუბერნ. ტფილისის მაზრაში აგარაკ ლისში. თავნი ვალი 7875 მ. 16 კ, შემოს. გარდ. 240 მ, 20 კ. სულ 8115 მ. 36 კ.

ჯამბაკურიან-ორბელიანი ალექსანდრე ესტატეს ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 731 დეს. 1570 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. ბორჩალოს მაზრაში, საჯასა და ყიზილ-აჯალში ანუ იფნარა და თამაზკულასობა. თავნი ვალი 6901 მ. 97 კ. შემოსატ. 211 მ. 08 კ. სულ 7113 მ. 05 კ.

(3—6.—1)

12 ნოემბერს, 1897 წ., საღამოს 8 საათზედ, **სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად** 1898 წ. 1 **იანვრიდგან** ხსენებულ სემინარიის სამსართულიან შენობისა, რომელსაც 22 დუქანი აქვს სარდაფებით იარმუკისაკენ, ცხრა ოთახი ზემო სართულში, სადაც ეხლა ტრაქტირი „ვარშავაა“ და ოთხ-ოთახიანი ფლიგელი. შენობა იმყოფება ქ. ტფილისის მე-III ნაწილში, იარმუკაზედ, პუშკინისა და გრაფის ქუჩებზედ. ამ ჟამად წელიწადში 14229 მან. იჯარის ფული შემოაქვს შენობას.

პირობების მეტყობა შეიძლება მუდამ დღე სამზრუნველოს კანცელარიაში, კვირა და უქმე დღეებს გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—195—1).

12 ნოემბერს 1897 წ. საღამოს 8 საათზედ სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში დანიშნულია **ვაჭრობა იჯარით გასაცემად** 1898 წ. 1 იანვრიდგან შენობის ზემო სართულისა, რომელიც 24 ოთახიდგან შესდგება, სადაც სასტუმრო „ოდესაა“ და სამი დუქნისა, რომელიც მე-3 ნაწილშია, იარმუკაზედ.

პირობების მეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში მუდამ დღე, დღესასწაულ დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—196—2).

скоро выйдетъ изъ печати

**„КАВКАЗСКАЯ ЖИЗНЬ“,**

ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ СБОРНИКЪ, КН. II.

Содержаніе: I. **Военно грузинская дорога**, стихотвореніе *В. Лебедева.* II. **Живкани**. Древнѣйшій городъ Грузіи, неизданная статья историко археолога *Платона Іоселіани.* III. **Сельскія картинки**, изъ Важа-Пшавела, съ грузинскаго. *А Никитина.* IV. **Мингрельскій языкъ** (разговорный и литературный). V. **Осенняя ночь**, стихотвореніе *П. Опочинина.* VI. **Невинная жертва**, повѣсть *Раффи*, съ армянскаго. VII. **Изъ кн. Ильи Чавчавадзе**, стихотвореніе В. Величко, VIII. **Верійское ущелье**, этнографическій очеркъ *Ив. Ростомова.* IX. **Кавказъ**, въ экспромптахъ поэтовъ: *А. Будищева, В. Мазуркевича, Ф. Соллогуба, В. Шуфа* и *А. Ѳедорова* X. **Нашествіе чалабовъ**, сцены изъ армянской сельской жизни. *А. Мануельянца.* XI. **Грузинскіе католики**, неизданная статья *Луки Исарлова.* XII. **Изъ тифлисскихъ нравовъ**, съ грузинскаго, NN. XIII. **Изъ кн. Акакія Церетели**, стихотвореніе *В. Лебедева.* XIV. **Закавказская деревня** (вмѣсто обзора), *Ш. Давидова*, и т. д.

Цѣна экземпляра, съ пересылкою и доставкою, 1 р. 20 к.; по выходѣ—2 руб. За коленкоровый переплетъ съ золотымъ тисненіемъ—1 руб.

Принимаются абъявленія.

Требованія адресовать въ книжные магазины: „Центральной книжной торговли“ и грузинск. „Общества распространенія грамотности“, или издателю **Шіо Давидову**, Тифлисъ

(5—უ.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Ноября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.